1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 20 (180) 20 ივლისი 1962 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

321. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წესდების VI მუხლის შესწორების რატიფიკაციის შესახებ.
322. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხორბლის თაობაზე საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
323. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იაპონიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ტ. ფედორენკოს გათავისუფლების შესახებ.
324. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იაპონიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. მ. ვინოგრადოვის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

325. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ბ. ს. პრეობრაჟენსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
326. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. ტურანტაევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
327. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სერჟანტ ვ. მ. ბონდარენკოს მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
328. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ილ-18 და ან-12 ხომალდების კომანდირებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
329. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ილ-18 და ან-12 თვითმფრინავების ეკიპაჟის წევრთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

330. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ყურბანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

331. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გ. ბ. იზმაილოვასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.

332. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. ლაპინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

333. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. მიურისეპის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს შ. მ. არუშანიანს რწმუნებების სიგელები გადასცა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ტეკოამ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 321 ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წესდების VI მუხლის შესწორების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შესწორება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წესდების VI მუხლისა, რომელიც მიიღო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მეხუთე გენერალურმა კონფერენციამ, რატიფიცირებულ იქნას (შესწორების ტექსტი თან ერთვის).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 6 ივლისი.

№ 277-VI.

GC(V)RES/92.

### ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წესდების VI. A.3. მუხლის შესწორება

გენერალური კონფერენცია,

a) **რომელმაც მიიღო რა** მმართველთა საბჭოს მოხსენება, წარმოდგენილი GC(IV)RES/85 [1] რეზოლუციის შესაბამისად,

b) **სცნობს რა** სასურველად წესდების ცვლილებას იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის რაიონის უფრო სამართლიანი წარმომადგენლობა საბჭოში,

c) **ფიქრობს რა,** რომ წესდების ნებისმიერმა ცვლილებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს საბჭოში რაიონების არსებულ წარმომადგენლობას, და

d) **დარწმუნებული** აგრეთვე იმაში, რომ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის რაიონის უფრო სამართლიანი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ამ რაიონის სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამჟამად არ არიან სააგენტოს წევრები, მიმართონ თხოვნით სააგენტოს წევრად მიღების შესახებ,

1. **ამტკიცებს** წესდების VI. A. 3. მუხლის პირველი ფრაზის შემდეგ შესწორებას:

„გენერალური კონფერენცია მმართველთა საბჭოს შემადგენლობაში ირჩევს თორმეტ წევრს ამ მუხლის A პუნქტის 1 ქვეპუნქტში ჩამოთვლილი რა-

იონების წევრების მთლიანად საბჭოში სამართლიანი წარმომადგენლობის სათანადოდ გათვალისწინებით, ისეთნაირად, რომ ამ კატეგორიით საბჭოში ყოველთვის შეიყვანოს სამი წარმომადგენელი ლათინური ამერიკის რაიონისაგან, სამი წარმომადგენელი აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის რაიონისაგან და წარმომადგენელი თითოეული დარჩენილი რაიონისაგან, ჩრდილოეთ ამერიკის გამოკლებით";

2. **მოუწოდებს** სააგენტოს ყველა წევრს შეძლებისდა გვარად სწრაფად მიიღოს ეს შესწორება მათი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია წესდების XVIII. Cii მუხლით; და

3. **ავალებს** გენერალურ დირექტორს მოახსენოს გენერალურ კონფერენციას თავის მორიგ მეექვსე სესიაზე ამ შესწორების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით საქმეების მდგომარეობა.

1961 წლის 4 ოქტომბერი.
დღის წესრიგის 10 პუნქტი
[1]GC(V)/151. GC((V)/OR. 58, პუნქტი 64.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 322 ხორბლის თაობაზე საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

1962 წლის საერთაშორისო შეთანხმება ხორბლის შესახებ, ხელმოწერილი ვაშინგტონში 1962 წლის 14 მაისს, დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, **რატიფიცირებულ იქნას** შენიშვნით, რომელიც გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამ შეთანხმების ხელმოწერის დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 7 ივლისი.
№ 281-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 323 იაპონიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ტ. ფედორენკოს გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ნიკოლოზ ტროფიმეს ძე ფედორენკო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან იაპონიაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ივლისი.
№ 295-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 324 იაპონიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. მ. ვინოგრადოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვლადიმერ მიხეილის ძე ვინოგრადოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად იაპონიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ივლისი.

№ 296-VI.

# განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 325 პროფესორ ბ. ს. პრეობრაჟენსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და დიდად ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საექიმო მოღვაწეობის აღსანიშნავად, ნ. ი. პიროგოვის სახელობის მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის ყურის, ყელისა და ცხვირის დაავადებათა კათედრის გამგეს, პროფესორ ბორის სერგის ძე პრეობრაჟენსკის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 5 ივლისი.

№ 276-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 326 გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. ტურანტაევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ვლადიმერის ძე ტურანტაევი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 ივლისი.

№ 282-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 327 სერჟანტ ვ. მ. ბონდარენკოს მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

განსაკუთრებით საშიში დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის სერჟანტი ვიქტორ მარკის ძე **ბონდარენკო** დაჯილდოვდეს მედლით **"მამაცობისათვის"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 ივლისი.

№ 284-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 328 სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ილ-18 და ან-12 ხომალდების კომანდირებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ანტარქტიდაში გადაფრენის ამოცანის სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან გმირობისა და ფრენის მაღალი ოსტატობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** საპატიო წოდება და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური"** სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ხომალდების კომანდირებს:

1. ალექსანდრე სერგის ძე **პოლიაკოვს.**
2. ბორის სიმონის ძე **ოსიპოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 ივლისი.

№ 291-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 329 სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ილ-18 და ან-12 თვითმფრინავების ეკიპაჟის წევრთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

ანტარქტიდაში გადაფრენის ამოცანის წარმატებით შესრულებისა და ამასთან საავიაციო ტექნიკის ათვისებაში გმირობისა და ოსტატობის გამოჩენისათვის დაჯილდოვდნენ ეკიპაჟების წევრები:

**ლენინის ორდენით**

1. მიხეილ პროტასის ძე **სტუპიშინი** — ხომალდის კომანდირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. პეტრე გრიგოლის ძე **როგოვი** — ხომალდის კომანდირი.
3. მიხეილ ალექსანდრეს ძე **დოლმატოვი** — შტურმანი.
4. ვლადიმერ ალექსის ძე **სტეშკინი** — შტურმანი.

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

1. დიმიტრი ფილიმონის ძე **ოსტროვენკო** — ბორტინჟინერი.
2. პავლე ივანეს ძე **გონჩაროვი** — ბორტმექანიკოსი.
3. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **პიშკოვი** — ბორტინჟინერი.
4. ივანე სიმონის ძე **ნაიკინი** — ბორტმექანიკოსი.
5. მარკ ივანეს ძე **შეველევი** — სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პოლარული ავიაციის სამმართველოს უფროსი.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

1. ვასილ ევდოკიმეს ძე **კოლგანოვი** — ტექნიკოსი.
2. ვიქტორ მიხეილის ძე **სერგეევი** — ბორტმექანიკოსი.
3. ნიკოლოზ ვასილის ძე **რომანოვი** — ბორტმექანიკოსი.
4. ვლადიმერ ვასილის ძე **მენშიკოვი** — ბორტრადისტი.
5. ნიკოლოზ ივანეს ძე **სტარკოვი** — ბორტრადისტი.
6. პეტრე მიხეილის ძე **ფომინი** — ინჟინერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 ივლისი.
№ 292-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 330 ამხ. რ. ყურბანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რახმანკულ **ყურბანოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 11 ივლისი.
№ 293-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 331 გ. ბ. იზმაილოვასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის უზბეკეთის ა. ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სოლისტს გალი ბაიაზეთის ასულ იზმაილოვას მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ივლისი.
№ 294-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 332 ამხ. ს. გ. ლაპინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ამხ. ს. გ. ლაპინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და დიპლომატიურ სამუშაოზე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. სერგი გიორგის ძე ლაპინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 ივლისი.
№ 300-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 333 ამხ. ა. ა. მიურისეპის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ა. ა. მიურისეპის დაბადების სამოცი წლისთავის გამო და პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების გათვალისწინებით ამხ. ალექსი ალექსანდრეს ძე მიურისეპი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 16 ივლისი.
№ 301-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს შ. მ. არუშანიანს რწმუნების სიგელები გადასცა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ტეკოამ

ა/წ 11 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ შ. მ. არუშანიანმა კრემლში მიიღო ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოსებ ტეკოა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველი დ. სატატი, მეორე მდივანი ი. კარმელი და საელჩოს სხვა თანამშრომლები, რომლებიც ელჩმა შ. მ. არუშანიანს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი, ა. დ. შიბორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვებით მიმართვის შემდეგ შ. მ. არუშანიანი ესაუბრა ი. ტეკოას. საუბარს ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე და ს. გ. ლაპინი.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

### რ ს ფ ს რ

#### ქალაქ ორსკის ფარგლების გაფართოება და გაის რაიონის გადარქმევა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით ორენბურგის ოლქის ქალაქ ორსკის ფარგლებში შეტანილია მუშათა დაბა გაი.

ქალაქ ორსკში შეიქმნა გაის რაიონი.

გაის სასოფლო რაიონი გადარქმეულია ორსკის რაიონად, ცენტრით ქალაქ ორსკში.

#### მედნოგორსკის რაიონის გადარქმევა და ცენტრის გადატანა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით ორენბურგის ოლქის მედნოგორსკის რაიონის ცენტრი ქალაქ მედნოგორსკიდან გადატანილია ქალაქ კუვანდიკში. მედნოგორსკის რაიონი გადარქმეულია კუვანდიკის რაიონად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები**

№ 20 (180) 20 ივლისი 1962 წ.

**სარედაქციო კოლეგია**

**გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**(ქართულ და რუსულ ენებზე)**

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი

**ფასი 10 კაპ.**

**ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ**

№ 20 (180) 20 июля 1962 г.

**Редакционная коллегия**

**Издатель — Президиум Верховного Совета ГССР**

**(На грузинском и русском языках)**

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели 8, Дом Правительства

**ЦЕНА 10 КОП.**

შეკვეთა № 726 ტირაჟი 2500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1962 წ. 25 ივლისს.

Подписано к печати 25 июля 1962 г.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР